# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 476

## წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: 22 დეკემბერი 2016 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების“ საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

„შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში ^- „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.

„მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს,. რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:

„დღე“ „კვირა“ „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები:

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტი, რომლის რეკვიზიტებია: მისამართი - ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27, ს/კ 229324451, სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200116502 2 – (შემდგომში - „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „სტ ოილი“ მისამართი: ქ. თბილისი კანდელაკის ქ. N 1 ს/კ 205169538 მომსახურე ბანკი- სს „ლიბერთი ბანკის“ მცხეთის ფილიალი კოდი LBRTGE22 ა/ა GE76LB0113171202103000- შემდგომში მიმწოდებელი

3 ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV 09100000 / 09134210 დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფლებში (ხადას ხეობის სოფლები) დიდთოვლობის შედეგად ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სადიზელო საწვავის– 150 ლიტრის ოდენობით– შეძენა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესასყიდი საწვავის ღირებულება შეადგენს 240 (ორასორმოცი ) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

– მისაწოდებელი საწვავის ერთეულის ფასი შეადგენს: ერთი ლიტრი- 1.60 ლარს.

– საწვავი მიწოდებული იქნება მისამართზე: სოფ. არაგვისპირი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების დაცვით განახორციელოს საქონლის მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხსა და ვარგისიანობაზე, მიწოდების დროულობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ძიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებაზე.

### 6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

### 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში.

### 8. მიწოდებული საქონლის ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საწვავი არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

### 9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

### 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა, ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

### 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გ აუთვალისწინებელი მიზეზების გ ამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.
13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.
13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხე ლშეკრულების პ ირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამო უკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 18.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით.
15.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ სამი დღით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 16.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მა თ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 18. სხვა პირობები

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2017 წლის 30 იანვარი.

18.2 საქონლის მიწოდების ვადაა: –2016 წლის 30 დეკემბერი.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

**შემსყიდველი**

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელი /ზ. ღარიბაშვილი/

**მიმწოდებელი**

შ.პ.ს. „სტ ოილი"-ს დირექტორი : /თ. მირესაშვილი/

^იურისტი:

# დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
# GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY

KA990134681663916

№ 1170/ს

22 / დეკემბერი / 2016 წ.

## დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ხადას ხეობის სოფლები) დიდთოვლობის შედეგად ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო სადიზელო საწვავის შესაძენად დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში დიდთოვლობის შედეგად ჩაიხერგა საავტომობილო გზები დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ხადას ხეობის სოფლები). ზემო აღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების გზების გასაწმენდად საჭიროა სადიზელო საწვავის შეძენა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, გამგებლის წარმომადგენლის მიერ მიწოდებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ შესწავლილია ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულის სოფლებში თოვლის შედეგად ჩაკეტილი გზების გაწმენდის საკითხი და წარმოდგენილია შესაბამისი გაანგარიშება - სამუშაოებისათვის საჭირო საწვავის გათვლა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. ქვეშეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ხადას ხეობის სოფლები) დიდთოვლობის შედეგად ჩახერგილი გზების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭირო 150 ლიტრი სადიზელო საწვავის შესაძენად, დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოს 240 ლარი;
2. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა (მ.ზაქაიძე) უზრუნველყოს კანონით დადგენილი წესით შესყიდვების განხორციელება;
3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს ამ თანხის დუშეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის დროს გათვალისწინება და თანხის გადარიცხვა;
4. შესყიდული საწვავის მიღება და განაწილება უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის, სამეურნეო ტექნიკურმა განყოფილებამ (გ.ჭონქაძე);
5. საწვავის მიზნობრივ ხარჯვაზე და დოკუმენტაციის წარმოდგენაზე პასუხისმგებლობა დაეკისროთ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, თენგიზ ბედოიძეს;
6. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა 2,3,4,5 პუნქტებით განსაზღვრული პირებისათვის.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელი

ზექა ღარიბაშვილი

KA990163279320516

**848/07**

**22 / დეკემბერი / 2016 წ.**

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზექა ღარიბაშვილს

## მოხსენებითი ბარათი

გაცნობებთ, რომ 2016 წლის 22 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან მივიღეთ ნებართვა N4692 საწვავის შესყიდვაზე არაგამარჯვებული მიმწოდებლისგან, დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თოვლისგან გასაწმენდ სამუშაოების განსახორციელებლად.

გთხოვთ, ზემოხსენებული ნებართვა შესასრულებლად დააწეროთ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, შესაბამისი თანხის გასათვალისწინებლად.

დანართი: 9 (ცხრა) ფურცელი.

შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი — ავთანდილ რაზმაძე

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელ
მ/შემსრულებელს ბატონ გ. ღარიბაშვილს
ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის
წარმომადგენელი ფშავის ს/ე-ში
თენგიზ ბედოიძის

მოხსენებითი ბარათი.

მოგახსენებთ, რომ ინფორმაციით თოვლის ზვავმა ჩაკეტა ფშავი - წყაროს მიმავალი გზა 9 კილომეტრი. თოვლის საფარის სიმაღლე შეადგენს 70-90 სმ.

გთხოვთ გამოგვიყოთ დიზლის საწვავი გზის გასაწმენდად.

/თ. ბედოიძე/

21.12.2016წ.

KA990127672765916

**843/09**

**22 /** დეკემბერი **/ 2016** წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზექა ღარიბაშვილს

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურის
განვითარების, არქიტექტურისა და
მშენებლობის სამსახურის უფროსის
თემური ელიკაშვილის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ გამგებლის წარმომადგენლის ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თენგიზ ბედოიძის (№4602; 21.12.2016) მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ჩვენი სამსახურის მიერ შედგენილია, ქვეშეთის ადმ. ერთეულში შემავალ ხადის ხეობის სოფლებში მისასვლელი საავტომობილო გზების თოვლის საფარისგან გასაწმენდად საჭირო დიზელის საწვავის კალკულაცია, რაოდენობით 150,0 ლიტრი.

სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურის
განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის
სამსახურის უფროსი

თემური ელიკაშვილი

კალკულაცია

ქვეშეთის ა/ე - ხადის ხეობის სოფლებში მისასვლელი საავტომობილო გზების გაწმენდა თოვლის საფარისგან

| № | | სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება | განზ. ერთეული | რაოდენობა | | საწვავის რ-ბა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ-ზე | საპრ.მონაცემი | ერთეულის | სულ |
| I | 1-101 | გზის ვაკისის გაწმენდა თოვლის საფარისგან ბულდოზერით დტ-75 | 1000 კუბ.მ | | 9.5 | | |
| | | ბულდოზერი | მ/სთ | 2,1 | 20 | 7,5 | 150.0 |
| | | სულ | ლიტრი | | | | 150.0 |
| | | | | | | | |

შემსრულებელი: / ი. სულაბერიძე /

ნებართვა # 4692

ნებართვა # 4692

| | |
|---|---|
| ნებართვის დასახელება | საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან |
| მოკლე აღწერა | საწვავის შესყიდვა არაგამარჯვებული მიმწოდებლოსაგან, სატენდერო დოკუმენტაციის 5.9 პუნქტის შესაბამისად, გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურის 15 კმ-იანი დაშორების შემთხვევაში, საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის გამო |
| სტატუსი | თანხმობა |
| დამატებულია | 13:22 22/12/2016 |
| სტატუსი მინიჭებულია | 13:51 22/12/2016 |
| ტენდერის ნომერი | CON150000070 |
| შესყიდვის ობიექტი | დიზელი (გატანა ავტოგასამართი სადგურიდან) |
| კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი | შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი" |
| კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი | 1.48 |
| მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის (ერთეული კილომეტრებში) | 80 |
| არაგამარჯვებული მიმწოდებლის დასახელება, რომელმაც შემოგთავაზათ ყველაზე დაბალი ფასი და რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა | შპს "სტოილი" |

| | |
|---|---|
| არაგამარჯვებული მიმწოდებლის შემოთავაზებული ფასი (წინადადება), რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა | 1.55 |
| მანძილი თქვენი ორგანიზაციის ადგილმდებარეობასა და კონსოლიდირებულ ტენდერში არაგამარჯვებული მიმწოდებლის უახლოეს ავტოგასამართ სადგურს შორის, რომლისგანაც გსურთ საწვავის შესყიდვა (ერთეული კილომეტრებში) | 30 |
| მიმდინარე თვის განმავლობაში საბიუჯეტო სახსრების მოსალოდნელი ეკონომია (ლარებში), საწვავის არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან შესყიდვის შემთხვევაში | 60 |
| ბაზრის კვლევის შედეგები. გთხოვთ, მიუთითოთ სხვა არაგამარჯვებული მიმწოდებლების დასახელება (არსებობის შემთხვევაში) და მათ მიერ შემოთავაზებული ფასები (ჩამონათვალი გამოყავით მძიმეებით) | არ არის |
| თვე, რომლის საჭიროებასაც წარმოადგენს არაგამარჯვებულთან საწვავის შესყიდვა (გთხოვთ თვეების ჩამონათვალი გამოყოთ მძიმეებით) | დეკემბერი |
| საწვავის რაოდენობა (ლიტრებში), რომლის შესყიდვა/ჩასხმა გსურთ არაგამარჯვებულ მიმწოდებელთან | 150 |
| თქვენი კომენტარი | დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ წკერეში ჩაკეტილია გზა დიდთოვლობის გამო. |